



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა # 02-03/30

ქ. ბათუმი

05 სექტემბერი 2018 წელი

**2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, სსიპ
“საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ
წინასაარჩევნო რეკლამის გაშვების მიზნით ფასიანი წინასაარჩევნო
რეკლამის ტარიფების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 50-ე და 51-
ე მუხლების, ასევე, “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35(10)-ე მუხლის
მე-7 პუნქტის და 66-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. 2017 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, სსიპ
“საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ეთერში
ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ტარიფები განისაზღვროს #1
დანართის შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის
27 ოქტომბრის 24:00 საათამდე.

დანართი 1 ფურცლად.

ნათია კაპანაძე
დირექტორი





დანართი 1

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზია და რადიო

ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის ტარიფები

(დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 05 სექტემბრის #02-03/30 ბრძანებით)

ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი საეთერო დროის ხანგრძლივობა შეადგენს:

აჭარის ტელევიზიის არხზე - 21 წთ;

აჭარის რადიოს არხზე - 24 წთ.

დღე-ღამის განმავლობაში ტელემაუწყებლობის ხანგრძლივობა - 21 (ოცდაერთი) საათი.

დღე-ღამის განმავლობაში რადიომაუწყებლობის ხანგრძლივობა - 24 (ოცდაოთხი) სთ.

გამოქვეყნებულია ვებ გვერდზე www.ajaratv.ge

საეთერო დროის ტარიფი:

ტელევიზია	
პროგრამის გასვლის დრო	1 წთ ფასი ლარებში
08:00-17:59	700
18:00-23:59	3000
00:00-05:00	500

რადიო	
პროგრამის გასვლის დრო	1 წთ ფასი ლარებში
08:00-17:59	200
18:00-23:59	250
00:00-07:59	100